კოდიფიცირებული 2010 წლის 28 მაისის მდგომარეობით

მიღებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის №17 ოქმით

შესულია ცვლილება 2008 წლის 29 იანვრის წარმომადგენლობითი საბჭოს №18-ე ოქმით

შესულია ცვლილება 2008 წლის 4 აპრილის წარმომადგენლობითი საბჭოს №20-ე ოქმით

შესულია ცვლილება 2008 წლის 26 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს №27-ე ოქმით

შესულია ცვლილება 2009 წლის 27 იანვრის წარმომადგენლობითი საბჭოს №1 ოქმით

შესულია ცვლილება 2009 წლის 30 აპრილის წარმომადგენლობითი საბჭოს №4-ე ოქმით

შესულია ცვლილება 2009 წლის 14 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს №10-ე ოქმი

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შინაგანაწესი

I თავი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. შინაგანაწესის მოქმედების სფერო

შინაგანაწესი ადგენს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე და სხვა პერსონალის ქცევის ზოგად წესებს და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პირობებსა და პროცედურას.

მუხლი 2. დისციპლინური საქმისწარმოების ძირითადი პრინციპები

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.
3. გადაცდომისათვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა იყოს ჩადენილი გადაცდომის ადეკვატური.
4. დისციპლინური საქმისწარმოებისას მწარმოებელი ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება გამოიტანოს ამ გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

5. პირს, რომლის მიმართაც წარმოებს დისციპლინური საქმის წარმოება უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს მისი მოსაზრებები და მტკიცებულებები.

II თავი

უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე და სხვა პერსონალის ქცევისა და დისციპლინური საქმის წარმოების წესი

მუხლი 3. უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე და სხვა პერსონალის ქცევის საერთო წესები

1. უნივერსიტეტში სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.
2. სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალისათვის შესაძლებელია შაბათი დაწესდეს სამუშაო დღედ.
3. გამონაკლის შემთხვევებში უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლოა სამუშო დღედ გამოცხადდეს კანონით გათვალისწინებული უქმე და დასვენების დღეები.
4. სამუშაო დღე იწყება დილის ცხრა საათიდან და გრძელდება საღამოს ექვს საათამდე.
5. უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე და სხვა პერსონალს უფლება აქვს სამუშაო დღის განმავლობაში ისარგებლოს შესვენებით არაუმეტეს ერთი საათისა.
6. უნივერსიტეტის პერსონალისა და დოქტორანტების მოაველობაა, გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და პრესტიჟს. ამის უზრუნველსაყოფად ისინი უნდა გაეცნონ უნივერსიტეტში არსებულ აკადემიური ეთიკის კოდექსს და იმოქმედონ მის შესაბამისად.
7. უნივერსიტეტის პერსონალს ეკრძალება სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო-მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება ავტორის მიუთითებლად (პლააგიატი).
8. უნივერსიტეტის პერსონალს ეკრძალება საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად (თვით-პლაგიატი).
9. უნივერსიტეტის პერსონალს ეკრძალება მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია).

მუხლი 4. დისციპლინური გადაცდომის სახეები

1. დისციპლინური გადაცდომის სახეებია:
   ა) სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
   ბ) სამსახურებრივი ინსტრუქციითა და შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) შრომის დისციპლინის დარღვევა, კერძოდ სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურიდან წასვლის, შესვენებით სარგებლობის წესების დარღვევა, ასევე არასაპატიო მიზეზით სამსახურის გაცდენა და სხვა;

დ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა;

ე) სამსახურში გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში, ასევე ნარკოტიკული ან ტიქსიკური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ;

ვ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა, რომელიც დისკრედიტაციას უწევს უნივერსიტეტს;

ზ) უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის ნორმების დარღვევა.

მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:
   ა) შენიშვნა;
   ბ) საყვედური;
   გ) სასტიკი საყვედური;
   დ) შრომის ანაზღაურების არაუმეტეს 20%-ის დაკავება;
   ე) სამსახურიდან გათავისუფლება.
2. პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, პასუხისმგებლობის ზომისა და მოქმედების ხანგრძლივობის განსაზღვრის უფლება აქვს იმ თანამდებობის პირს ან კოლეგიურ ორგანოს, რომლის დანიშნული ან არჩეულია ის პირი, ვისაც უნდა დაედოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 6. დისციპლინური საქმის წარმოების დაწყების საფუძველი

1. დისციპლინური საქმის წარმოების დაწყების საფუძველია:
   ა) ნებისმიერი პირის საჩივარი, განცხადება ან წერილი;
   ბ) უნივერსიტეტის თანამშრომლის მოხსენებითი ბარათი;
   გ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია უნივერსიტეტის თანამშრომლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს;
   დ) დისციპლინური გადაცდომის ფაქტის აღმოჩენა ან სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს, რომ ადგილი აქვს უნივერსიტეტის თანამშრომლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

მუხლი 7. დისციპლინური საქმის წარმოება

1. დისციპლინური საქმის წარმოებას ახდენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, იმ თანამდებობის პირის ან კოლეგიური ორგანოს დავალებით, რომლის დანიშნული ან არჩეული პირის მიმართაც უნდა წარიმართოს წარმოება.

2. დისციპლინური საქმის წარმოების დაწყების შესახებ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც მიეთითება ვის მიმართ დაიწყო დისციპლინური წარმოება და რა ფაქტთან დაკავშირებით. ასევე აქტით უნდა დაევალოს პირს, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინური დევნა, განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს წერილობითი ფორმით მისი მოსაზრებები (ახსნა-განმარტება) და მის ხელთ არსებული მტკიცებულებები. ეს აქტი ბარდება პირს, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინური დევნა.
3. დისციპლინური საქმის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
4. პირს უფლება აქვს განცხადებითა და შუამდგომლობით მიმართოს საქმის მწარმოებელ ორგანოს და მოითხოვოს ზეპირი მოსმენის გამართვა. მწარმოებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ.
5. დისციპლინური საქმის მწარმოებელ ორგანოს, თუ მიიჩნევს, რომ საქმისათვის ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია ზეპირი მოსმენის დანიშვნა, შეუძლია დანიშნოს მოსმენა და ეს აცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს.
6. დისციპლინური სახდელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, პირის წინანდელი მუშაობა და სხვა.
7. დისციპლინური საქმის წარმოების დასრულება ფორმდება უფლებამოსილი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის პროექტსაც ამზადებს საქმის მწარმოებელი ორგანო. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ან დადებაზე უარის თქმის შესახებ.
8. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება აღინიშნება პირად საქმეში შეტანით.

მუხლი 8. დისციპლინური სახდელის დადებაზე უფლებამოსილი პირი

1. პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, პასუხისმგებლობის ზომისა და მოქმედების ხანგრძლივობის განსაზღვრის უფლება აქვს იმ თანამდებობის პირს ან კოლეგიურ ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებითაც მოხდა პირის დანიშვნა ან არჩევა, კერძოდ:
   ა) ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ - შესაბამის კოლეგიურ ორგანოს;
   ბ) დამხმარე პერსონალისა და შტატგარეშე დამხმარე პერსონალის მიმართ - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
2. ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ შესაბამის კოლეგიურ ორგანოს ამ წესის მე-5 მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახდელის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 9. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ თანამდებობის პირს ან კოლეგიურ ორგანოს უფლება აქვს პირს ვადამდე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მომსამსახურემ.
2. თუ პირს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.
3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა ფორმდება წერილობით ორ პირად. ერთი პირი რჩება ადამიანურირ ერსურსების მართვის დეპარტამენტში, რომელმაც ვადამდე ადრე მოუხსნა მოხელეს პასუხისმგებლობა, მეორე პირი კი გადაეცემა თვითონ პირს.
4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა შეიტანება პირად საქმეში.

II[1] თავი

უნივერსიტეტის პერსონალის ქცევისა და დისციპლინური

საქმის წარმოების სპეციალური წესები

მუხლი 9[1]. უნივერსიტეტის პერსონალის ქცევისა და დისციპლინური საქმის წარმოების სპეციალური წესები

შინაგანაწესის მე-2 თავით დადგენილი ქცევისა და დისციპლინური საქმის წარმოების წესების გარდა, უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ქცევისა და დისციპლინური საქმის წარმოების სპეციალური წესები.

მუხლი 9[2]. პასუხისმგებლობა პერსონალის ქცევის სპეციალური წესების დარღვევისათვის

1. აკადემიური პერსონალი წინასწარ უნდა იცნობდეს:
   ა) აკადემიური პერსონალის ქცევის საერთო წესებს;
   ბ) უნივერსიტეტისათვის მისაღებ აკადემიური წერის სტილს (ბიბლიოგრაფიული მონაცემების გაფორმება, ციტირების სტილი და ა.შ.);
2. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს კვლევითი საქმიანობის ეთიკურობას და დროული რეაგირება მოახდინოს აკადემიური პერსონალის ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე.
3. აკადემიური პერსონალის ქცევის საერთო წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში განმცხადებელი მიმართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელიც შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და დეკანთან ერთად კონფიდენციალურად განიხილავს დაფიქსირებულ დარღვევას. ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით,

როგორც უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი) ასევე გარეშე პირებიდან.

4. კომისია შეიმუშავებს საქმის წარმოების პროცედურასა და ვადებს და საქმეში გარკვევის შემდეგ გამოიტანს შესაბამის დასკვნას. კომისიის მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს მეცნიერის პრესტიჟს.
5. კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის (ან აკადემიური საბჭოს) წინაშე. კომისიის დასკვნის შესახებ ეცნობება შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დამრღვევ პირს (შემდგომში - დამრღვევი), ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს (კვლევის პროექტის სპონსორს, პროექტზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს და ა.შ.).
6. დამრღვევ პირს შესაძლებლობა ეძლევა საპასუხი სიტყვით წარსდგეს კომისიის წინაშე. იმ შემთხვევაში თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტი აამოქმედებს ყველა მის ხელთ არსებულ მექანიზმს პირის სამეცნიერორ ეპუტაციის აღსადგენად.
7. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სანქციები:

   ა) მიეცეს გაფრთხილება; ავტორის ყველა სტატია გამოწვეულ იქნას და შემოწმდეს პლაგიატის ან ფალსიფიკაციის თვალსაზრისით;

   ბ) დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე;

   გ) შეუწყდეს შრომითი კონტრაქტი;

   დ) განთავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან.
8. თუ პლაგიატის შემთხვევა დაფიქსირდა არა ფაკულტეტზე, არამედ სხვა სტრუქტურულ ერთეულში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად უნდა განიხილოს დარღვევის საფუძვლიანობა.
9. ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალიდან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი), ასევე გარეშე პირებისაგან.